



საქსენა

საქსენა

20-21

თბილისი
გოგლითი

გამოცემის 54-ე წელი, (N 1511). ოქტომბერი-ნოემბერი, 1977.



რვენი ტელეკრანი



სამოსი სტრიქონი — სამოს ფაქს!



სამოცფლიანო ჭაბუკო, უბერებელი სამშობლოვ,
 „ავრორას“ შემოძახილზე ლენინის ნებით ნაშობო,
 ყველა საგულეს საგულევ და გულთა შორის კავშირო,
 მსოფლიოს ერთ მეექვსედზე უკიდევანოდ გაშლილო, —
 მინდა, სამოცი სტრიქონი სამოც კელაპტრად ავინთო,
 ყველა კეთილი სურვილი ჩავაქსოვო და ჩავრითმო!
 თხუთმეტი ძმისგან დაწნული უგვირგვინესო გვირგვინო,
 შენი სამზეოს შვილები ქვეყნად ვერავინ გიგინოს!
 გვიძღვი, ნამგლით და უროთი გამოჭედილო იმედო!
 შენ გაუწაღლე ცხოვრება, ვინც გიწამა და მიგენდო!
 შენი ფერებით ვფერადობთ, შენი სიდიდით ვდიდგულობთ, —
 მიწაზე ოქროდ დაღვრილო, ზეცაზე ბურჯად მიდგმულო!
 ხარ ყველა მშობლის მშობელი და ყველა დედის ნაშობი,
 შენს ქებად ფუნჯს და სამელნეს ვერავინ ნახავს დაშრობილს!
 შენა ხარ ჩვენი მფარველი, არდამფარველი სიმათლის!
 მზებნელის დამბნელებელი, აღმომცენები სინათლის!

* * *

სამოცი ფაქსი — გზაგრძელი — განა ტაშისკვრით ვიარეთ?!
 რა დაგვაიწყებს იმ დღეებს, იმ მოუშუშარ იარებს,—
 როცა დღემოკლე ფაშიზმი გვემუქრებოდა მოსპობით
 და მკერდით რომ გვიფარავდა გმირი ქალაქი მოსკოვი!
 რა დაგვაიწყებს იმ გმირებს, ბრძოლის ჟინი რომ მოსდევდათ
 და ქანდაკებად გაქვავდნენ კურსკთან, ქლუხორთან, ოდერთან?..
 დარჩნენ მამულის დარაჯად, მკვდრები არავის ეგონოს!
 თუ დაგვირდება, უხმობენ ქანთარიას და ეგორივს!
 რა დაგვაიწყებს ზარ-ზეიმს, იმ სიხარულს და იმ ღელვას,—
 ცხრა მაისმა რომ მოსძახა გამარჯვებულთა სიმღერას!..

* * *

მას მერა ასე შენდები — ბრძოლით გაწვრთნილი მარჯვენით!
 თუ დაგვირდება ჰესებად, ბამებად დავიხარჯებით!
 ვიქნებით კვლავაც ერთგულნი, მიზნით და რწმენით უცვლელნი,
 გადაეცემა შეილთაშვილს ჩვენი გმირობის ფურცლები!
 დღეს **სამართლმშობელს** მაღალ ჭერს ქუდი ახურავს ნამუსის,—
 რომ ბატონობდეს სიწმინდე ჩვენს სათაყვანო მამულში!
 სიტყვას და საქმეს — საქვეყნოს — პირშეურცხვენლად ვუძღვებით,
 რომ ამოგვევსოს საჭურჭლე პური, ჩაით და ყურძენით!
 შენი ღიღების სახელი ქვეყნად ვერავინ შელახოს,
 ვისაც სამოცის შეშურდე, იმის ორმოცი გვენახოს!
 დღეს შენი დღეა! იცოცხლე! ვარდებში გვყავხარ ყელამდი
 და, ფეხზე წამოდგარები, სადღეგრძელოს ვსვამთ ყველანი!
 გილოცავს დაბადების დღეს წამოფრენილი მართვენი:
რუსი და უკრაინელი, ბალორუსი და ქართველი!..
 დიდ იუბილარს გიმღერის — ლამის დაუსკდეთ ფილტვები—
მოლდაველი და სომეხი, ლატვიელი და ლიბეველი!..
 ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ არვინ დარჩეს უთქმელი—
ყაზახი თუ ტაჯიკი, ესტონელი თუ თურქმენი!
 შენ უსმენ აზერბაიჯანს, უზბეკეთსა და ყირგიზეთს!..
 თხუთმეტი ბედის ვარსკვლავი შენს სადროშეზე გიზგიზებს!
 შემოგხარია იმედით დიდი მომავლის ნერგები —
 ახალი კონსტიტუციით, ჰიმნით, რწმენით და შეგნებით!

* * *

აჰა, ეს ჩემი მოლოცვა შენს სადიდებლად გავრითმე,
 მოსკოვისაკენ ვაფრინე, უწმინდეს სახლად ავინთე!
 გამოვატანე: სხივები დიდი თამარის თვალების
 და ძალა დარუბანდიდან ჩამოტანილი კარების,
 დიდი ილიას სიღინჯე, სიფიცხე დიდი ფშაველის,
 ქართველი კაცის მზეგული და მიწა ერთი მტკაველი!
 გამოვატანე: დალოცვა შინმოუსვლელთა დედების
 და ექო-შემოძახილი კავკასიონის ქედების,
 გორის ციხის ციხ ნათელი და ერთაწმინდის სიწმინდე,
 იაკობის და პაატას ქართველობა და სიდიდე!
 რაც კი შემეძლო, მოგიძღვენ, არ დავიშურე სათქმელი
 და სამოც ლოცვას მოგიტოვლი ერთი პატარა ქართველი!

ქონაუკის შედეგები

შეჯამდა დიდი ოპოზიციის სოციალისტური რევოლუციის მესამე ფაზისათვის დაკავშირებით „ნიანგის“ რედაქციის მიერ საუკეთესო სატირულ-უმორისტულ ნაწარმოებებზე გამოცხადებული საიუბილეო კონკურსის შედეგები:

პირველი პრემია (300 მან.) მიენიჭა გურამ ლეონიძეს კვლევაში (თბილისი) ლექსისათვის — „სამოცი სტრიქონი — სამოც წელი“ (დებიუტი: „მთაწმინდა“).

მეორე პრემია (თითოეული 200 მან.) მიიღეს:

ანა აკაკის ასულმა დუნდუამ (ბათუმი) მოთხრობისათვის — „სიტყვიერი კოტრები“ (დებიუტი: „მაგნოლია“).

ედუარდ კარლოს კი სიხარულით (თბილისი) ფელეტონისათვის საერთაშორისო თემაზე — „მიკროფონთან არის ლეო ლეჩხუმიძე...“ (დებიუტი: „ჩიკვი“).

მესამე პრემია (თითოეული 100 მან.) მიიღეს:

აკაკი პლატონის კი გელოვანს (თბილისი) ეპიგრამებისა (დებიუტი: „ნიანგის ისრაელი“) და ლექსებისათვის (დებიუტი: „უჩინარი“).

ზაქარია ვასილის კი შერაზდოვილს (თბილისი) ლექსებისათვის — „საუბრის აქომახილები“ (დებიუტი: „სამოგლობის მკვიდრი“), „კოდეფი“ (დებიუტი: „რეჟიმდებელი“), „კედამოგორი კრელუდია“ (დებიუტი: „კედამოგორი“), „არ თქვათ, — ცუდია სიბერე!“ (დებიუტი: „ადამიანთა მოყვარე“).

მალხაზ ლავრანთის კი ცოტაქეს (თბილისი) მოთხრობისათვის — „ოპერატიული ოპერა“ (დებიუტი: „გრან-პრი ოსკარაქე“).

ნახატი კარიკატურების თემატისათვის პრემიები (თითოეული 50 მან.) დამსახურეს:

სოსო ბაგრატიის კი მახარაშვილმა (საჩხერე, დებიუტი: „გაბულია“).

მიხეილ გიორგის კი მხედლიშვილმა (თბილისი, დებიუტი: „მხატვარი“).

მალხაზ ლავრანთის კი ცოტაქეს (დებიუტი: „ორლოგი“).

დასაბამად რეკომენდებული ნაწარმოებები დროდადრო გამოქვეყნდება „ნიანგის“ ფურცლებზე.



— სამოცი წლის კონკურსი ინგოვით, სერ!
— 60 წელი საერთოდ არ გავაგრძნოთ!



— ყველაფერი სხვის სახელზე ამს გაფორმებული და სიძვემ მთხოვა, ხელი ჩემს მაგივრად შენ მოაწერეო!

სულის ყავდავება

ამას წინათ ერთ უცხოელ სტუმარს ვესტუმრე. იგი შესანიშნავად ფლობდა სპირიტუალის „ხელოვნებას“. მე, მაგალითად, სპირიტუალის უფრო ვადიარებ, ვიდრე სპირიტუალს. ჩემი უცხოელი მასპინძელი კი მარწმუნებს:

— სპირიტუალში რეალისტური ხელოვნებისა და მეცნიერების კონგლომერატია! გამოძახებული სულები ჭეშმარიტად მსჯელობენ...

— კეთილი და პატიოსანი, გიჟერებო, სერ! მაგრამ გჭვიც მეპარება!..

— მე გაგიქარწყლებთ ყოველივე ეჭვს, მთხოვეთ და, კისი სულიც გინდათ, იმას გამოვიძახებ, რაც გნებავთ, ის შეგკითხეთ!

მე დავთანხმდი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მაინტერესებდა ზოგ-ზოგის სულთან „ოფიციალური“ საუბარი და მათი პოლიტიკური კრედოს თანამედროვე ფონზე გაანალიზება.

ჩემმა მასპინძელმა ჩამოაბნელა ოთახი, მრგვალ მაგიდას გარშემო სკამები შემოულა და აკანკალებული ხმით მომმართა:

— დავიწყეთ!

უპირველესად მღვდელი გაპონისა და გრიშკა რასპუტინის სულთა გამოძახება მოვითხოვე.

ოთახში შემობრუნდნენ მღვდელი გაპონისა და მამაო რასპუტინის ავტორი სულები. ჩემმა მასპინძელმა მათ აუწყა:

— ღვთის მსახურნო, თქვენ აუღენციას გიმართავთ საბჭოთა საქართველოს მოქალაქე!

— ოო, კვაჭი, კვაჭი, სად გადაიხვეწე? — სინანულით დაიროხროსა რასპუტინის სულმა.

— წმინდაო მამაო! თქვენი სული მარტო ხომ არ დარჩებოდა?! ვის გვამში გადაასახლეთ? — შევეკითხე რასპუტინს იმ თვალსაზრისით, რომ სულებს არ უყვართ სიცრუე და ჭეშმარიტებას არ დამიმაღვდნენ.

— მე და გაპონმა ჩვენი სულები მთლიანად გადავასახლეთ გებელსისა და მუსოლინის გვამებში, მაგრამ ამან ვერ გაამართლა; 1945 წელს უკან დაგვიბრუნდნენ. ხომ არ ინებებდით? — შემევაჭრა რასპუტინი.

— რატომაც არა! ახლა ჩვენ სულების მუხეუმს ვხსნით, თქვენ მორგის განყოფილებაში მოგიხერხებთ! — დავამდე რასპუტინი.

— „ბოჟე, ცარია ხრანი!“ — ვილატ ნაპინარის სიმღერით შემობრაცუნდა.

— ამხანაგო ნიკოლოზ! — ვიცანი მეფე ნიკოლოზ მეორე. „ამხანაგოს“ ხსენებაზე ნიკოლოზ მეორის სული ისე გაწბილდა, რომ ლამის ყელში მწვდა. მეფე შეჩერდა, განზრახვაზე ხელი აიღო, მწარედ ჩაიციხა და დამექადა:

— სამეფო ტახტს დავიბრუნებ!

— ამით გამოშვებულ სკამზე არ დაჯდებით? ის უფრო მაგარია! — შევთავაზე ნაიმპერატორალს.

ნიკოლოზის სულმა სცადა სკამზე დასკუება, მაგრამ ამაოლ: სკამი დაიშალა და მისი მეფური სული ქვეშ მოიყოლა.

— „ბოჟე, ცარია ხრანი!“ — ზეცას ევედრებოდა მეფე ნიკოლოზ მეორის სული.

ქვეშმოყოლილი სულის გადასარჩენად ოთახში შემოჭლარუნდნენ მეფის მინისტრების სულები სტოლიპინის მეთაურობით. ისეთი სუნი დააყენეს, რომ რევოლუციონერობა ვინატრე. თვალი კარგად არ მქონდა შეჩვეული, რომ მომდევნო კოპორტას შევასწარ თვალი. კოპორტას „მამაცურად“ მოუძლოდნენ დენიკინის, ვრანგელის, იუდენიჩის, პეტლიურას, კორნილოვისა და სხვათა „მალაკეთიშობილური“ სულები. ვერაფრით რომ ვერ მოვიცილე, ჯიბიდან დავაძვრე ჭაჭის არყის ბოთლი და მაგიდაზე დავდგი... ყველანი შიგ ჩაცვივდნენ... როცა ჭაჭის არაყი სრულად დანთქეს, ბოთლის ფსკერზე დაიძირნენ და ყველამ ერთხმად დაიწყო სიმღერა — „ჩემო სულის კოკობო!“

მე დამშვიდებით დავუცავი ბოთლს საცობი და მოკრძალებით გადავეცი უცხოელ ბატონს:

— სუენიერებს უკან არ აბრუნებენ!

სპირიტუალის ჯაღჭარი კი გაჰკიოდა:

— „ჰაილ ჰიტლერ! ჰაილ ჰიტლერ!“ — და უხაროდა, რომ ჰიტლერის სული დანაწილებულიყო პინოჩეტის, ფორსტერისა და იან სმიტის გვამებში.

მე გულახდილად, მომავლის რწმენით დავამშვიდე:

— სერ, მე კიდევ მაქვს ჭაჭის ბოთლი, ჩემგან სახსოვრად გქონდეთ, დრო მოვა, ახლით და ეგ თქვენი ცოცხალი უსულო სულები თქვენებური ჯინივით ჩახტებიან ამ სამხანად ჭაჭის არაყში!

ჩვენი დიდების სამოცი წელი—
წყარო სიუხვის, მშვიდობის
მცელი —
არის ტაძარი! მაგრამ შენცერთი
ქვა რომ შეჭმატო, მოგწყდება
წელი?!

ამრის ზიქრები

ქალს ვუყიდე ოქროს სკივრი,
— არაფერი არა მაქვსო!
თვალ-მარგალიტით ავავესე,
— ყელსაბამი არა მაქვსო!
ფარჩა-ატლასით ავავესე,
— ჩასაცმელი არა მაქვსო!
თეატრში ვერ წავიყვანე,
— აბზინდები არა მაქვსო!
ქორწილში ვერ წავიყვანე,
— თეთრი კაბა არა მაქვსო!
მოვკვდი, კუბოში ჩამძახა:
— შავი შარფი არა მაქვსო!

უსაქმურს

ჩვენი დიდების დღეთა
ანტიპოდს, —
აღმა-დაღმა რომ დაეხეტები
და უღარდელად არცხვენი
ქვეყანას
შენი უსაგნო სულისკვეთებით, —
რა უნდა გითხრა? შენთვის
დღეები
მიჰქრიან, როგორც თეთრი
გედები;
შრომის ფერხულში ჩაბმულა
ყველა
და შენ კი ღობე-ყორეს ედები!
საბრალო შენი მშობელი დედა—
ალბათ, შენც სადმე შვილად
ეთვლები!

იოლი გზები

ქურდმა წიგნი გადაშალა:
„ვატყობ, ვილაც გაქურდაო!“
და მწერლობას მიჰყო ხელი:
„ასე წერას რა უნდაო!“

მარჯვე საქმოსანს

არ გაკლია ოქრო,
არ გაკლია ტაში,
თავი კი გაქვს ქუდში,
მაგრამ რა გაქვს თავში?!

აკაკი გელოვანი

(დევოზი: „ნ ი ა ნ გ ი ს ი ს რ ე ბ ი“)



— ამ რეჟისორს დუბლის გაკეთება უყვარს და, აბა, თავს
გუშვებოთ!

სარედაქციო არქივიდან

გავკრამ ჩვენმა მკითხველმა იქნებ არც იცის, რომ „ნინაგის“ პირველი ნომერი 1923 წელს გამოვიდა. შემდეგ მას, ათი წლის განმავლობაში, „ტარტაროზი“ ერქვა, 1933 წლიდან — ისევ „ნინაგი“.

გადავხედი „ტარტაროზის“ და „ნინაგის“ ძველ ნომრებს, ვნახოთ, რა პრობლემები იდგა ქურნალის წინაშე ამ რამდენიმე ათეული წლის წინ:

პირუტყვიც კი ანთხველდა
(„ტარტაროზი“, 1929 წელი.)

„ტარტაროზის“ ფურცელზე დაბეჭდილია გაძვალტყავებული ცხენი.

ცხენი: ოჰ, როდის იქნება, რომ ჩვენმა სოფელმაც შეიძინოს ი, რაღაც ტრაქტორია! იქნება, შემდეგ მაინც შევისვენო!

ეს წარწერა იმდროინდელი საქართველოს სოფლის მეურნეობის დიდ გაჭირვებაზე მიუთითებს. რას გაუძლებდა წლებსა და გაჭირვებას ის ფერდებჩაყარნილი ჯაგლაგი, თორემ როგორ გაიხარებდა, დღევანდელი სოფელი რომ ენახა: დღეს ხომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში 22531 ტრაქტორია!

ახალი ხიდეზი
(„ნინაგი“ № 8, 1936 წელი.)

ბჭოლისი. ტფილისის საბჭოს კეთილმოწყობის განყოფილება, თანახმად მუშათა წინადადებებისა, აპირებს მდინარე მტკვარზე ბორნის ადგილას და ფოსტის შენობის გასწვრივ საცაღდებო ხილის აგებას.

ამ დადგენილების მიღებას და განხორციელებას მოკლე ხანში მოეწონებოდა ჩვენი მკითხველების შვილები და შვილიშვილები.

მოგსწრნენ მათი შვილები და შვილიშვილები ხილის (ხიდეზის), არა მარტო საცაღდებო, — სამაჩანოს, ორსართულიანს, განიერს, კაფე-ბიანს, რესტორნებიანს, საგამოფენო დარბაზებიანს, ბართაშვილის სახელობისა და სხვებსაც.

სპეკულანტებთან იყიდება... ნავთი!
(„ნინაგი“ № 17-18, 1936 წელი.)

ბბარბაპი სურამი მთელი ზაფხულის განმავლობაში მოუმარაგებელი იყო ნავთით და ახლაც მოუმარაგებელია, რის გამოც სპეკულანტური ელემენტები სარგებლობენ და მათ ხელში ნავთი, ორმოც მანეთად ფასობს.

გამოირკვიე, ამხანაგო „ნინაგო“, ნავთის ასეთ ფასთან შეფარდებით, რამდენად უნდა შევაფასოთ ის ორგანიზაცია, რომელსაც აგარაკის ნავთით მომარაგება ეკისრება?

დღეს აგარაკ სურამს (და საქართველოს ყველა სხვა აგარაკს) ეს პრობლემა აღარ აწუხებს: ნავთის სპეკულანტებს ნავთის სუნი ადინეს!

ჰვირიან გოზა ქაღები
(„ნინაგი“ № 13, 1957 წელი.)

— ...როდემდის უნდა იყვირონ ნალი, ფი-თილი, ლეწვა, სინკაო?

დღემდე ისევე ყვირიან.

მარიკა გველსიანი

როსტავე მეფის არ იყოს, თავს დაუძლურება რომ შევატყვე, გადავწყვიტე, კანონით მონიჭებული უფლებებით მესარგებლა. პენსიაზე დიდი ზარ-ზეიმით გამაცილეს და დამსახურებული იურისტის წოდებაც ზედ დამაყოლეს! ჭეშმარიტება მოითხოვს, ვაღიარო სიმართლე: პირველ ხანებში უქმად ჯდომა ძალიან გამიჭირდა. დროის რეგლამენტმა განსაზღვრა მეზობლებთან ჩემი ურთიერთობის გაღრმავება. მათი, ზოგჯერ გულახდილი, ზოგჯერ მიკიბულ-მოკიბული, საუბრებიდან ვადგენდი, რომ კომბინატში ცივი ომი უკვე დაწყებული ჰქონდათ და, ეჭვი არ იყო, მალე იგი ცხელში გადაიზრდებოდა. ომის ღმერთი ვის ემხრობოდა, ვერ დამეგინა. ფრონტის ერთ ფლანგზე დირექტორი იდგა, მეორეზე — თანამშრომლები. ვინაიდან მე ვცხოვრობდი იმ სახლში, რომელშიც კომბინატის თანამშრომლები ცხოვრობდნენ, კონტაქტი ყველასთან მქონდა. მე, როგორც იურისტი და სახელმწიფო კანონის დამცველი, პენსიაზე ყოფნის დროსაც არ ვივიწყებდი ჩემს მოვალეობას და ვარიგებდი მათ, არ გამოეტანათ მალულად წინდები და მაისურები, არ დაეწერათ ერთმანეთზე ანონიმური წერილები! ვაფრთხილებდი, რომ, ადრე თუ გვიან, მართლმსაჯულებას ვერსად გაექცეოდნენ! მე არც მათი სულიერი გამხნელება მაგიწყდებოდა.

— რა მოხდა, კაცო, ომისთვის გაგიძლია და დირექტორს ვერ უნდა გაუძლო?! — ვეუბნებოდი.

— დირექტორი ის იყო, ჩვენ რომ ინფარქტი დავმართეთ! მასეთებს სად ნახავ ახლა! მაინც სად გამოძებნეს ეს ჩვენი ცოდვით სავსე?! არავისი არ ეშინია! ისეთი უცხვირპიროა. სამსახურში მისვლა შეგძულდება!

მოგეხსენებათ, დიდი იურისტი, აკადემიკოსი კონი მომხრე იყო სიტყვიერი პორტრეტის პრაქტიკაში დანერგვისა და მეც ყოველთვის ვიზიარებდი მის აზრს. ტრადიციას არც პენსიაზე მყოფი ვღალატობ და, სიტყვიერი პორტრეტის მიხედვით. ვცდილობ, ჩემი მეზობლების უფროსის გარეგნობა დავადგინო: უცხვირპირო, ე. ი. გაყინული პირისაზე, პატარა, ჩაქულებილი ცხვირით. პორტრეტის შესადგენად ეს არ კმარა, დეტალები აკლია.

— მაინც რა სახის კაცია თქვენი უფროსი? — ვეკითხები ერთს.

— თუ არ ნახე, ძნელი წარმოსადგენია, — მეუბნება, — ეგ რომ პირს დააღებს, ჩვენ სკამის სახელურებს ვკიდებთ ხელს, რომ არ გადავცვალავს!..

პორტრეტს ვამატებ დეტალებს: დიდი პირი. ტიპური პითეკანტროპი.

— კუჭი არა აქვს ნამდვილად მაგ უპატრონოს! — მეუბნება მეორე.

აქ კი სიძნელეების წინაშე აღმოვჩნდი: პორტრეტი იმ ადამიანისა, ვისაც დიდზე დიდი კუჭი აქვს, ადვილი წარმოსადგენია. მსგავს შემთხვევებს ჩემს პრაქტიკაში არც ისე დიდი ხნის წინათ ჰქონდა ადგილი, მაგრამ, კაცი, რომელსაც კუჭი არა აქვს, ვერ წარმომედგინა.

— ფიზიკურად მაინც თუ არის ძლიერი, ასე რომ დაგზაფრათ ყველანი? — ვეკითხები.

— რას ამბობ?! რის ძლიერი! კაცს პურ-მარილი და ქეიფი რომ არ უყვარს, ხორცს როგორ შეისხამს?! —

— თავი როგორი აქვს ქე მაინც, თავი! — კვლავ ვეკითხები.

— თავი კი აქვს დიდი, ჩვენდა საუბედუროდ! — მასუხობენ ნაღვლიანად.

ახლა უკვე პორტრეტისათვის თითქმის ყველა დეტალი მაქვს მზად. მათი შეერთებადაა საჭირო, სრული სურათი რომ

მივიღო. ხშირმა საუბრებმა თანამშრომლებთან საკმაოდ სწორი წარმოდგენა შემიქმნა დირექტორის გარეგნობაზე: ჩაქულებილი ცხვირი, დიდი თავი. ნეანდერტალელი ადამიანის მსგავსი. გამხდარი. ალბათ, ქუჩაში რომ შემხვედროდა, გონობდი. სიმართლე უნდა ვთქვა, მისი სიტყვიერი პორტრეტის შესადგენად არავითარი ჯაფა არ გამიწევია. ნელა მასალას ყოველდღიურად მაწვდიდნენ თანამშრომლები. მაგონდება, რა ქანცაგაწყვეტილი შრომის ფასად დამიჯდა სიტყვიერი პორტრეტის მიხედვით ერთი საშინო რეციდივისტის, მეტსახელად „რატუშად“ წოდებული დამნაშავეის სურათის შედგენა...

— ერთი მაინც გავაკეთეთ: იმდენი ვანერგულეთ, თმა გავუცვინეთ, უღვაში კი თვითონ გაიპარსა! — მაწვდის მასალას პორტრეტისათვის მომარაგების განყოფილების უფროსი.

...უთმო და უუღვაშო... — თანდათან ივსება პორტრეტი.

— ეგ რომ გაბრაზებული თვალებით გადმოგვხედავს და კბილებს გამოგვიჩენს, შიშისაგან საით გავიქცეთ, არ ვიცით! — ამბობს საწყობის გამგე.

მე უბის წიგნაკში ვინიშნავ ყველაფერს, მისი სახის ყოველი ნაკვეთის აღმოჩენისას ბალღივით ვცქმუტავ და ასაკის შეუფერებლად ვიღიმები.

...გრძელი კბილები. ალბათ, წაქანებული შუბლიც. ნეანდერტალელი ადამიანის მსგავსი...

პორტრეტი მზადაა: დიდი, უთმო თავი, უუღვაშო. გამხდარი, ღრმა თვალები, დაბალი შუბლი. ტიპური ქურდი...

მე უკვე ვხედავდი არა მარტო მას, არამედ იმსაც, რაც მის ზურგს უკან ხდებოდა: „შეჭამა, ალბათ, კომბინატი მწვადივით და თანამშრომლები კი ხახვივით დააყოლა!“ — ვფიქრობდი.

სასტიკი აუცილებლობის წინაშე დავდექი. მას შემდეგ, რაც დირექტორის სიტყვიერი პორტრეტი შევადგინე, მომინდა მისი პირადად ნახვა. ალბათ, დიდხანს აღარ დავაყოვნებდი და პირდაპირ სამსახურში ვეახლებოდი, როგორც უხუცესი კრიმინალისტი, რომ, კვირა საღამოს, ტელევიზიით გამოსული არ მენახა...

ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა იგი ვინილზე. მისივე თანამშრომლების სიტყვიერი გადმოცემით ძალად დამახინჯებული, სიმპათიური გარეგნობის, ოდნავ გამხდარი, მაღალი შუბლითა და თაფლისფერი, წყლიანი თვალებით. სალი, ქათქათა კბილები მიჯრით ჰქონდა ჩაწყობილი. რაც აგრე



რიგად უმკობდა ხორბლისფერ სახესა და ოდნავ შეთხლეულ, ალაგ-ალაგ შევერცხლილ, მოკლედ შეჭრილ თმას. ყველაზე მეტად მისი მაღალი სულითა და ინტელექტით მოვიხიბლე: სასიამოვნო ხმით ილაპარაკა კომბინატის წარმატებებზე და გულისტკივილით აღნიშნა ნაკლოვანი მხარეები. საჭიროდ ჩათვალა, მოეგონებინა ზოგიერთებისათვის, რომ წამგლეჯების, მუქთახორებისა და კომბინატორების აღსასრულის ზარმა დიდი ხანია დარეკა!..

— ახლა საჭიროა აღკვეთით წვრილმანი ქურდობა-დატაცების არცთუ ერთეული შემთხვევები, რასაც, საუბედუროდ, ჯერ კიდევ აქვს ადგილი ჩვენს კომბინატში და სასტიკად დავსაჯოთ დამნაშავეები! — თქვა და ჩემი მეზობლების გვარები ჩამოთვალა!..

— „აი, თურმე, რატომ ამახინჯებდნენ მის სახეს!“ — გავიფიქრე გულში და სიტყვიერი პორტრეტი ოთხად გადავხვი.

ანა დუნდუა
(დებიზი: „მ ა გ ნ ო ლ ი ა“)



გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

„დახლები მქონდა,
დავრჩი უდახლოდ!
სახსრები მქონდა,
დავრჩი უსახსროდ!
საქმენი მქონდა,
დავრჩი უსაქმოდ!
სასახლე დავდგი,
დავრჩი უსახლოდ!“ —
სირცხვილნაჭამი
წუხს
(ს ა ჟ ა ზ ე მ ა ნ ე)


არც სირცხვილი, არც სინდისი,
არ არსებობს იმისთვის:
საჩივრებს და დაბეზლებებს

წერს ცაცია „გვირისტი“,
სხვების გესლვით, სხვების კბენით
ცოცხლობს
(ს დ ი ა მ ე მ ა ნ ე)

დათაფლული სიტყვები აქვს —
სატყუარი ბრიყვების,
უფროსს გუნდრუკს როცა უკმევს,
იმ ლაქუცით.
იმ კმევით
უზრუნველ და მშვიდ ცხოვრებას
ეფერება ფიქრებით...
წელში ოთხად მოკაკული
ვინ იქნება?
(ს ა მ ე მ ა ნ ე)

ქსელებს აბამს, მახეს აგებს
გარდასახვის ოსტატი;
ის ჩვენს შორის ცხოვრობს, აგერ,
იყო ქრისტეს მოსვლამდის;
იღვწის განა ხალხისთვის,
იღვწის განა ერისთვის?!
მხოლოდ პირად განდიდებას
ელტვის
(ს დ ი ა მ ე მ ა ნ ე)

ამირან მიქაშაძე
(საკონკურსო მასალებიდან)



3. ეპარტი

ოდა „ომისაგან მსხნელს“

ენით აუწერელი სიხარული განვიცადეთ, როდესაც ნეიტრონული ბომბის გაჩენის ამბავი შევიტყვეთ. ეს სანუკვარი იარაღი თუნდაც უკვე იმითაა კარგი, რომ იგი ახალია.

ქეშმარიტება მოითხოვს იტყვას, რომ ნეიტრონული ბომბი სრულიადაც არ გახლავთ ბომბი, — იგი ქურცია, ამიტომ მან არ უნდა გამოიწვიოს კომპარტული ასოციაციები დაბომბვისა, მსხვერვისა და ნგრევისა.

მართალია, ზოგს ვერ შეუგნია ამ ბომბის სიკეთე და გაჭყვირება, რომ ეს ალამიანის „აზროვნების სიმბიოტიკა“.

სხვას რა უსუსვედურთ, როდესაც თვით თალარაგში გასული, ნატოს ყოფილი გენერალი შტეინიშოკი კი გამოვიდა და განაცხადა, ახალი ბომბის შექმნა მისი გამოყენების ციურებას იწვევსო (ამით პირდაპირ დანა ჩასცა ზურგში ნეიტრონის ბომბის დამცველთ!), მაგრამ ნურას უკაცრავად! — შტეინიშოკი ვერავის შეაშინებს მსგავსი არგუმენტებით! ვინც რა უნდა თქვას, ახალი ბომბის უპირატესობა აშკარაა! აბა, შეადარეთ მის წინამორბედს — ატომურ ბომბს, რომლის ქუჩუიანი შედეგების წყალობით სრულიად შეუძლებელია „სუფთა ომის“ წარმოება. ატომური ბომბი სტოვებდა ისეთ რადიაციას, რომ მასზე ცოცხალი არსება ვერ გაიჭყანებდა. გარდა ამისა, ერთი დიდი მინუსი კიდევ გაჩნდა — ის სახელმწიფო, რომელიც მას პირველად იხმარს, ვერ არის სრულიად დარწმუნებული, რომ მოწინააღმდეგის საღაცე მიმალული წყალქვეშა ნაგები იმავე ძლევას არ მიაღწევს.

ამიტომ იყო, რომ ზოგ გენერალს ყოფნიდა ჭკუა და არ ურჩევდა თავის მთავრობას დეფუო ატომური ომი. ნეიტრონულმა ბომბმა კი სულ შეცვალა სიტუაცია. ჩვენ ქებათა ქება უნდა ვუძღვნათ მას, ვითარცა ომის მსხნელსა და გადამარჩენელს. ახლა კი შესაძლებელია აწარმოო ომი და ქარცეცხლიან ღრეებში დაამუშაო მიწა (რადგან, ომის გარდა, ალამიანს ესაჭიროება პურიც ჩვენი არსობისა). ან, თუ გნებავთ, უყურო დეტექტორ ფილმებს ტელევიზორში. აი, ნეიტრონული ბომბის სიკეთე! ამიტომ არც ერთ საღად მოაზროვნე ალამიანს არ გაჭყვირებდა, როდესაც ნატოს ცენტრალური ევროპის ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა ჰეიგმა განაცხადა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენელნი უკანასკნელ სხდომაზე ალტაცებით შეხვდნენ ნეიტრონული ბომბის წარმოების იდეასო. სიმართლე რომ ითქვას, ამ სხდომის წარმომადგენელთ არ ახსოვთ ასეთი განცხადება. მაგრამ როგორ შეიძლება, ასეთ გრანდიოზულ საქმეში, საკუთარ მესხიერებას დაეყრდნო!

ზრახვები ჩრდილოეთ კაროლინაში

„შრომის დღის“ დღესასწაულთან დაკავშირებით, ორასამდე ზანგს პიკნიკი გაემართა ქალაქ შარლოტას ეკლესიის მახლობლად გაშლილ მდელოზე. ირგვლივ ისმოდა მხიარული ხმები, შესანიშნავი ზანგური სიმღერები. საერთო მხიარულებაში არავის შეუმჩნევია შორიახლოს გაჩერებული მანქანა...

ავტომანქანიდან ახალგაზრდა თეთრკანიანი კაცი გადმოვიდა. მას ნახევრად სამხედრო ფორმა ეცვა და სვასტიკიანი სამკლავური ეკეთა. ფართოფარფლებიანი ქუდი თვალებამდე ჩამოეფხატა. იგი მოწეიმეთ არც მიახლოებია, ვინჩესტერი მოიმარჯვა და გულდაგულ დაუმიზნა ზანგების ჯგუფს. თორმეტჯერ ზედიზედ იგრაილა თოფმა. ერთმა ზანგმა შეჭყვირა და უსულოდ დაენარცხა ძირს. 29 წლის რუჟველტ დევისისაჰვის უკანასკნელი აღმოჩნდა ეს ზეიმი ნათესავებსა და მეგობრებს შორის... ხალხი წივილ-კივილით ეფარებოდა ეკლესიის კედლებს. „ბრძოლის ველზე“, მოკლულის გარდა, სამი მძიმედ დაჭრილი ზანგი დარჩა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში 28 წლის ჯონ ტერი აღმოჩნდა...



კიდევ ერთხელ იგრაილა თოფმა, რომლითაც, თუ პოლიციის ერთობ ოფიციალურ ვერსიას ვერწმუნებით, თვით დამნაშავემ მოიკლა თავი.

ალევიასხნილი რასიზმი ახალი ამბავი არ არის ჩრდილოეთ კაროლინაში, რომელსაც პროგრესული ამერიკელები სამართლიანად უწოდებენ „რასიზმის საბუღარს“. კაროლინას შტატის საპრობილდებში არიან გამომწვევდელი ზანგთა თანასწორუფლებიანობისათვის თვალსაჩინო მეტროლები — „უილმინგტონის ათეული“ და „შარლოტის სამეული“. მათ ლიდერს — ჯიმი გრანტს — ბევრჯერ დაუპირეს მოკლა რასისტებმა. ისინი ცდილობენ, მოსპონ ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ ზანგთა მოძრაობის აქტივისტები, მაგრამ „შრომის დღეს“ ჩადენილი ეს ახალი დანაშაული ყველა საზღვარს სცილდება თავისი. სიხასტიკითა და დაუნდობლობით.

ტრაგეულად დამთავრებული პიკნიკის მონაწილეთა გრძნობები, მათი საერთო აზრი სრულად გამოხატა ბევრის მხანველმა და განმცდელმა 84 წლის ზანგმა ჯეიმ ლიდემ: „ჩვენ არავის ვუშლიდით ხელს და არც ვინმეს ვერჩოდით რაიმეს. მაშ, რატომ მოგვექცნენ ასე?“



თამბაქოს სტატისტიკა

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში უკანასკნელ ხანს შემცირდა მოთხოვნა თამბაქოზე. შესამჩნევად იკლო ახალგაზრდა მწველთა რიცხვმა. ფინეთში გამოქვეყნდა ცნობა, რომ თუ 4 წლის წინ თამბაქოს ეწეოდა 14-დან 18 წლის ასაკის 32 პროცენტი, ახლა მათი რიცხვი შემცირდა 25 პროცენტამდე.

ეს მოვლენა განსაკუთრებით შეიმჩნევა გოგონებსა და ქალიშვილებში.

მუშარაც ამახ ჰყვია!

ფულის გასაქმებლად ყველხერბი კარგია! დასავლეთის სამყაროში ეს აქსიომაა! ამ რამდენიმე ხნის წინ შევიცარიის ქალაქ სენტ-მარტინის სახანძრო რაზმმა გადაწყვიტა, შეეძინა ახალი ავრეგატი — მორტორიზებული დგუში. ამასთან დაკავშირებით, სახანძრო რაზმის შენობის კედელზე ასეთი განცხადებაც გაჩნდა:

მოქალაქენო!

გთხოვთ შემოიტანოთ ფული ახალი ავრეგატის შესაძენად! თუ საკმაო თანხას ვერ შეგვაროვებთ, მაშინ იძულებულნი ვიქნებით მოგიწუოთ კონცერტი ჩვენი სასულე ორკესტრის მონაწილეობით!

პროფესიული გატაცებით

ცხრა წელი პარიზის პოლიცია უშედეგოდ ეძებდა ყალბი პასპორტების „სპეციალისტს“. ბოლოს საქმე სრულიად შემთხვევით „გასკდა“. ბიზნესით გატაცებულ ოსტატს საკუთარი, ნამდვილი პასპორტის ვადის გაგრძელება დავიწყებია და აქედან გაიხსნა საქმეც...

მაკულატურის ზანი

ბერბამოს ქალაქის ფაბრიკის მეპატრონემ მილანის საფოსტო განყოფილებისაგან შეიძინა რვა ათასი ცენტნერი მაკულატურა. ქალაქის პაქტების გახსნის დროს აღმოჩნდა: თავდაცვის სამინისტროს 50 წერილი, 11 საპენსიო მოწმობა, ფულადი გაღანარიცხი ერთ მილიონ ლირაზე, რამდენიმე ათას ლირად ღირებული სხვადასხვა ბანკების ქვითრები და აღრესატსაუბარებელი 200 წერილი.

ფოსტის მუშაობაზე კომენტარები ზედმეტია.

ზ. ბ.

ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად,
წარიღებენ, განჭკრენ სიზმრებრივ ჩქარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად...
თუმც, ამის მეტად არასდროს ვმჯდარვარ!...

კი მაფრთხილებდნენ — „გეყოფა!“ „კმარა!“ —
მაგრამ ამ სიტყვებს ვაგდებდი არად!
მიყვარდა ხვეჭა (სახელის — არა!),
წაგლეჯვა, ფლანგვა, აწაპვნა, პარვა!..

რადგან ნამუსთან ვიყავი მწყურალად,
არ ვთაკილობდი არც გამოძალვას!
ფულს ვაგროვებდი (იგივე ფარას),
ვანდენდი იმის მარხვას და მალვას!..

ციხეში ყოფნას სჯობს ყოფნა მკვდარად:
ველარ ვჭამ ცოცხალს, ველარ ვსვამ წარაფს!..
მე არ ვაპირებ ძველი გზის ღალატს,
იმედოვნებას ვუწოდებ ფარად!
მე იგივე ვარ მარად და მარად:
როცა გამოვალ, კვლავ მოვიპარავ!

* * *

ძნელი არის ახლა შოვნა ფულითა,
უშრომელად, დაუღვრელად ოფლისა,
ვგავარ ჩემი ტელეფონის ყურმილსა,
განმელტვიან სიამენი სოფლისა!

* * *

ჩამავლეს! თავი მომეჭრა!
ციხეს ვზი პატიმრულადა!
რამ შემიქმნა ადამიანად?
რატომ არ მომჭრეს ფულიადა?

* * *

„სუდად“ ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირულის ფულითა კეთება!
სიძნელეს გზისას გავიადვილებ,
ბევრი „მაყუთი“ თუკი მექნება!

* * *

ფული დიდ ქმნილებას რა შეჰფერის? —
ვექილი, ფულით საძებნელი!

მხოლოდ შენ ერის, რაც რომ ჩემთვის
კორუფცია მაღლიდან ღმერთს!
კანონების დარღვევებზე
მხოლოდ ფულით დაგითანხებ!

* * *

ფული საშოვნად გიღივს ვეძებდი,
ვერ ვნახე... დაკარგულიყო!..
გულამოსკვნილი ვჩიოდ:
„სადა ხარ, დიდო ფულიკო!“

* * *

დავიძინებ — თფულად გიღივს მიზიხარ!
გავიღვიძებ და — ციხეში მიზიხარ!

* * *

ოცი წელი ვჩაღიხობდი, ვპროტექტორობდი!..
და დავასვი ფულით თავზე კეთილს ბოროტი!

* * *

უპროტექციოდ მზე არ სუფევს ცის კამარზე!
დედამიწა ხომ არ არსებობს უპროტექციოდ!
საპროტექციო ცენტრი შევქმნათ ფულით
მთვარეზე,
რომ განვითარდეს პროტექცია უფრო ტემპში!

* * *

ვერ ავიშორე ეს ციხე,
ფულით ტყუილად ვყარეო,
ცა-ფული უფ, ხმელეთ-ფული უხვო,
ჩემო საფულე მხარეო!

შეკრიბა ბათუ მელიამ

ნახ. ა. მარკიზისა




უსიტყვოდ

ნახ. ზ. დეისაძისა



— ისე ვატყობ, წელს ფერმის გაშვას, ჩვენი ხორცის გა-
ვივრად, საკუთარი ტყავის ჩაბარება მოუწევს!

ნახ. მ. აბაშიძისა



არ არის! არ არის!..

— უნა ჩემზე ძლიერი ხარ, არა?! ჰო, რა იყო, ყველგან ეგრე არა წერია, რომ ჩემზე ძლიერი ხარ?!

იმან თავი დახარა და გაიტრუნა. ამან შეატყუო, რომ დაჯანა და, იცოცხლე, მოეცა გული.

— რა ყურები ჩამოყარე?! არა, ახლა არ იფიქრო, თითქოს მთვრალი ვარ და ღვინო მალაპარაკებდეს! საერთოდ, ჩემზე ძლიერებს ვერ ვიტან, ხომ იცი?!

იმან ნერვულად გადააქნია თავი. ამას არ გამოპარვია იმის მოქმედება, მაგრამ უკან არ დაუხევია:

— მომიტმინე, თორემ ფეხები არ მომჭამო! არა, ისე, რომ მოინდომო, ფეხებს კი არა, საერთოდ გადამსანს-ლავ. განა იმიტომ გავითამამდი, რომ მთვრალი ვარ?! არა, თუ გინდა, ფხი-ზელიც მოვალ და გეტყვი! რა თვალებს მიბრიალებ? წაადი შენი!..

ამის თქმა იყო და, ეს იქას თმებში წვდა.

— რას შვრები, კაცო, გაგიყდი?! მი-ლიცია, მილიცია! „სკოლია, პომოშისკი“. ორმა მილიციელმა, ვერტეჟიშმა და ზო-ოპარკის დირექტორმა ძლიერს გააგდებია-ნეს გალიაში თითქმის ნახევარი ტანით შესულ გამძვინვარებულ მთვრალს საბ-რალო ლომის ფაფარი.

თამაზ ჰაიშვილი

ნახ. გ. ფირცხალაშვილი



— გრამი ყურქმენი არა გაქვს და ამდენ ყურქმელს მარუცხინებ?!

— ქალო, ღვინოს რად უნდა ყურქმენი?!

შეიღებოდა

სწერდა წერამწერელი ანონიმთა მწერალსა:

„კალმას როგორ დაიბერ, ვერ იკარებ წვერასა! ჩვენ ქვეყანას ვაშენებთ, ლამის, მთვარე გადავხნათ, შენ კი არ გსურს არაფრის კარგი თვალით დანახვა!

უკაბიტნოს, უმგზავროს, სად დაეძებ ლანერს?! რაც რომ გიყვარს, ის არ გწამს, ან გიყვარს კი რაიმე?! ფიქრით ერთსა ფიქრობდე, სიზმრად — სხვას აბოლებდე, ცხადში, ენაბოროტი, სულ სხვა რამეს გოლებდე?

რაც გწამს, თვლიდე არაფრად, ხალხს ბედნიერს — „მონებად“?! გასამდა და გაოთხდა შენი ხუთპიროვნება!..“ მართლაც, ერთს რომ გოლებდა, სულ სხვა იწერებოდა და რაც იწერებოდა, ვაგლახ, იწელებოდა!

წერაც ერთის იცოდა და მეორის — კეთება. ვერ სცნა, ჰქონდა თუ არა რამე სულიკვეთება. და წვალობდა, უგულო ვერ ჰპოვებდა სიამეს, მისი შეიღებოვნების, ა, გაახლეთ სია მე!

არც ენახა, და მაინც, სულ „იქითურს“ აქებდა, რომ გავუშვით, „იქ“ დარჩა, ამოვძირკვეთ აქედან! გავუსწორეთ კიდეცაც, რაც ავ-კარგი გვემართა! დღეს შევლას გვთხოვს: „იქიდან“ დაბრუნების ნებართვას!

დიდ სახალხო ზეიმზე არც ღირს საწყლის ტირება, გულით მინდა მიუღგეს რამე „ამნისტირება“. დაბრუნება თუ შევძლეთ, აწ კი შესძლებს მოხმარას! — ხომ ნამდვილად „იქ“ არის, საიქიოს — ხომ არა?!

თვალის თვალისა და ყური-ყური?


მილიარდი თვალის წინ, მილიარდი ყურის წინ, შემზარავად, ზედიზედ, მილიარდი თვალის წინ ავი ტყვიით ცხრილავდნენ ამერიკის პრეზიდენტს!..

მილიარდი თვალის წინ ჩაატარეს „ღვთის შვილი“ სისხლიანი, სოველი, მილიარდი თვალის წინ გადამალა კანონმა „ღვთის მრისხავი“

მსროლელი!..

ღრთა, ვისაც კიდეც სწამს იქაური სიკეთე, იქაური სამყარო, — მილიარდი თვალის წინ იარაღი აიხსნას, იარაღი დაჰყაროს!

ზაქარია შერაზადიშვილი
(დევიზი: „სამშობლოს მკვიდრი“)



თავმჯდბალი

- დიდი ხანია დაგინიშნეს?
- საკმაოდ.
- როგორია?
- როგორ გითხრა.
- თავდაჭერილიაო.
- კი.
- ნამდვილი მაგალითის მიმცემიო.
- როგორც უფროსს შეეფერება!
- ფეხით დადისო.
- რაც გასუქდა, მას შემდეგ.
- არც ამპარტავანიაო.
- კი, არაა წინამასწარა.
- ბავშვები სკოლაში მანქანით არ დაჰყავსო.
- ათასში ერთხელ.
- არც ცოლი ბაზარშიო.
- არ ვიცი, ძმაო!
- უბრალოაო.
- მაგის ტანზე ერთი კოსტიუმის მეტი არ გვინახავს!
- აბა, მეტი რაღა გინდათ?!
- მათ არ იცოდნენ, რომ უფროსი, ყოველ წელს, ერთი და იმავე მატერიისგან, ერთსა და იმავე მეკრავთან, ერთი ფასონის ექვს კოსტიუმს იკრავდა.
- მას მუქი ნაცრისფერი, ინგლისური ტრიკო მოსწონდა.

ზ. ჟორღანაშვილი

მინიაჟურები

თვალის ექიმში ეუბნება პაციენტს:

- დახუჭეთ თვალი!
- ვერ დავხუჭავ! თვალის დახუჭვისათვის ერთხელ უკვე დაგვარგე თანამდებობა!..

* * *

დაწესებულებაში კომისიას ელოდებიან. უფროსი ეკითხება ხელქვეითს:

- კომისია რომ მოვა, შეგიძლია ორი სიტყვით თქვა, რას აკეთებ?
- ერთი სიტყვითაც შემიძლია!

ვაჟა ფარეშვილი
(საკონკურსო მასალებიდან)

ნახ. დ. პრისტავისა



რას მძებ მანდ?
— მაინტერესებს, ჩვენი წყალსადენის უფროსს ალა-მაჰმად-ხანთან სამართო ხომ არაფერი ჰქონდა, წყალს რომ არ გვაკლავს?!

ქვებისხმეს რთა ტაძარი...

ქვებისხმის სამწავიან ბაზილიკაში შოთას და დედამისის იას საგარაუდო პორტრეტებია. ფრესკები შეუბღალავთ მინაწერებით: „კავერკოტი, ალიკა, ფატიმა, ჯანჯო, ასრიკა“. ძეგლი დაცვას საჭიროებს!

გაზეთებიდან

ქვების ხევის რთა ტაძარი, ერს რო იცავდა რწმენითა, გადამთიელებს გადარჩა, — გუშინ მკრეხელებს წყევლიდა!.. ბრალია წმინდა ტაძარი — თამარის ჟამის ნაგები, ქართველი დედის ხატება, შოთაის ხელის ნახლები, —

მკრეხელთა ხელით ნაჯღბნი, — ჯანჯოს, ასრიკას ნასერი!.. ძეგლების მცველო, სად გძინავს, რას ელოდები, რას ელი?!

ეს გულგრილობა მწყენია! მსმენია — გული მტკენია: ოდენ ქვაშილა შეთენილა მამა-პაპათა გენია?!

ბრალია... თორე, ცოცხლობდეს სულისკვეთება ძიების და რას ავნებენ ქვებისხმეს ემაგნაირი ჭიები!

აპაკი გელოვანი

(დევიზი: „უ ჩ ი ნ ა რ ი“)

ერთმა ახალგაზრდა მფრინავმა ნამდვილი გმირობა ჩაიდინა: მწყემსი, რომელიც უეცრად საოპერაციო შეიქმნა, მიუვალი მთიდან ბარად ჩაიყვანა და ადამიანის სიცოცხლე იხსნა. ამაზე ნარკვევი დაეწერე და რედაქციაში მივიტანე. რედაქტორმა აიკითხა, ჩაიკითხა და თავისი ბოხვერა, წითელი ფლომასტერი სათაურს დააბეჭდინა...

- სათაური უნდა შეიცვალოს!
- რატომ, ბატონო სევასტი? „მფრინავი მთებში“. ახალი არაფერია ამ სათაურში იქნებ, მაგრამ არც რამეს აშავებს! იყოს, თუ შეიძლება, არ მაქვს ახლა ამ გაგანია სიცხეში მაგის გამოცვლის თავი!
- არაფერს აშავებს! აშავებს და მეტი არა?!
- მაინც?!
- „მფრინავი მთებში“. იცი თუ არა, ძვირფასო, რომ ამას ხვალ ნახევარი საქართველო სხვანაირად წაიკითხავს!
- მაინც როგორ?!
- „მფრინავი თეფში“.
- რა „მფრინავი თეფში“?!
- რაღა, ჭურში ზისარ, შე კაცი?! — და დაწვრილებით ჩამო-მიკაკლა ყველაფერი, რაც ამ თემაზე იცოდა.
- გუშინწინ დეზერტირის ბაზრის თავზე უნახავს ალმასხანა ყრუს, მაგრამ რას გეტყვის მაგ დეგენერატი დალაგებულად? ჰუმანოიდები მსხდარან იმ თეფშებში. ჰო, ასე ეძახიან სხვა პლანეტე-

დან მოსულ ხალხს. ჰუმანოიდები ორ ჯგუფად იყოფა თურმე — ჰუმანოიდი და ჰუმანოიდიოტი. ჰუმანოიდი ტანმოზოილი ყოფილა, სუსტი, ფერმკრთალი; ჰუმანოიდიოტი კი მაღალი, ღონიერი, ჯანმრთელი და შტერი. მოკლედ, როგორც ჩვენთანაა დაახლოებით ისე. ბაზარში უნახავს ალმასხანა ყრუს. ვაშლს ყიდდა თურმე ერთი კაცი. რა ღირსო, უკითხავს ალმასხანა ყრუს. სამი მანეთით. მომეცი ორ მანეთადო. „პაჟალუსტაო“, და მიუცია. მიმხედარა ალმასხანა, ჰუმანოიდთან რომ ჰქონდა საქმე. დაუყიდა ასე ორ-ორ მანეთად იმ ტიპს ერთი გოდორი სამმანეთიანი ვაშლი და მოჩვენებასავით გამჭრალა ბაზრიდან. აჰა!

— თუ ალმასხანა ყრუს მეტი არავინ გვყავს მოწმე, ძნელია დაჯერება, ბატონო სევასტი!

— რატომ გგონია?! სტადიონზეც უნახავთ ერთი ჰუმანოიდი. მოსკოვის „დინამო“ და ჩვენი „დინამო“ თამაშობდნენ. შუა ტაიმში მოელი ჩვენი სტადიონი ხმაშეწყობილი ყვიროდა: „დი-ნა-მო! დი-ნა-მო!“ წამომდგარა ამ დროს ერთი მაყურებელი და უკითხავს: მაინც რომელი „დინამო“, თქვე შტერებო! მიმხედარა ხალხი, აქა-ური რომ არ იყო ის კაცი. რაღა ბევრი გავაგრძელო, ჰუმანოიდი ყოფილიყო მფრინავი თეფშიდან. თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე ისე გამჭრალა, თვალი ვერავის მოუკრავს!

რვა ნომერ ტროლეიბუსში, დღისით-მზისით, ვიღაც ორი ყმა-წვილი ქალს შეურაცხყოფას აყენებდა თურმე — ხან უჩქმეტიათ, ხან ლოყაზე მოუთათუნებიათ ხელი, მერე ჩანთაც გაუხსნიათ და ფათურობდნენ შიგ თურმე. მგზავრები, როგორც წესი და რიგია, მსხდარან თავთავიანთთვის და ფანჯრებში იყურებოდნენ. ამ დროს წამომდგარა ერთი უცნაური კაცი — თმა მოკლედ ჰქონია შეკრეჭილი, ჩვეულებრივი პალტო ცმია, წვერი გაპარსული ჰქონია, საათი მარცხენა ხელზე კეთებია, მისულა საწყალ ბიჭებთან და ისეთი დაუყვირია, საცოდავები გულგახეთქილები ჩაცვნილან ტროლეიბუსიდან. რაღა ბევრი გავაგრძელო, მიხვდი, ალბათ, ჩვენებური რომ არ იყო ის კაცი, ამ პლანეტის რომ არ იყო.

უფრო მეტს გეტყვი. ერთი ჰუმანოიდი შესულა გურიში ერთ ქორწილში, იჯდა თურმე სეფაში ჩუმად, მაყარს წვეული ჰგონებია, წვეულს — მაყარი. მჯდარა ასე კარგა ხანს, არც ჩერე უთამაშია, არც ფული დაუწერია. ის კი არადა, ლუდის კახით ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოც კი არ დაუღევია. მიმხედარა მთელი სეფა, ამ ქვეყნისას რომ არ გავდა რაღაც. სულ მალე, ყაყანი, ცეკვა, სიმღერა და გინება ერთმანეთში რომ არეულა, მოუხედავთ და სადაა ის შენი უცხო კაცი! მარტო მეორე დღეს მიმხედარან, ჰუმანოიდი რომ იყო ქორწილში.

— როგორ ფიქრობთ, ბატონო სევასტი, ვითომ ტირილშიც იქნება ნამყოფი? მოგვეჭრა თავი და ისაა!

— ეჭვიც არ მეპარება! არ ვიცი, როგორა აქვთ საქმე იმ პლანეტაზე, საიდანაც მოვიდნენ ის ჩვენი ჰუმანოიდები და ჰუმანოიდიოტები, მაგრამ თუ ფულის შოვნა უნდათ იმ ქვეყანას, ჩვენს ტირილზე და ჩვენს ქორწილზე უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებენ ჰოდა, გაუშვებდა ვითომ ამ მომენტს მფრინავი თეფშის ეკიპაჟი ხელიდან?

— იქნებ არ კვდებიან იმ ქვეყანას, ა, ბატონო სევასტი?!

— არც კლავენ ერთმანეთს? შევარცხვინე მე ისეთი ქვეყანა, სადაც არც ინფარქტია, არც ინსულტი, არც წნევა, არც ნევრასტენია! კი გამიკვირდა, რა მოარბენინებთ ჩვენთან-მეთქი! ხედავ, კაცო, რაში ყოფილა საქმე? მოწყინდათ ეს გაუთავებელი სიცოცხლე და ჩამოგვაკითხეს, იქნებ ვისწავლოთ რამეო!

— ესე იგი, გჯერათ, ბატონო სევასტი, მფრინავი თეფშების არსებობა, ხომ?!

— გაგიჟდი?! სისულელეა! მტკნარი სიცრუე! არ გაიმეორო არსად და მაგ ნარკვევის სათაურიც წაშალე! ეს შენი „მფრინავი მთებში“ ვინმეს „მფრინავი თეფში“ არ ეგონოს!



ნახ. ა. აბაშიძის



გაზეთი „თეატრიული“



ნ.ბ. ჯ. ლოლუხი

— აუ, რა ჯინსები!

მარხნი საყვირივით გაისმა ორშაბათ ღილას ამწყობი საამქროს ოსტატის ხმა: საწარმოს ტერიტორიაზე მდებარე სასმელი წყლის ონკანიდან 10-მილიმეტრიანი დიამეტრის წყლის ნაკადი მოედინება და ეზოს ატალახებსო!..

საამქროს უფროსმა მაშინვე ორი ხარატი მოწყვიტა სამუშაოს და აღნიშნული ფაქტის შესამოწმებლად გაგზავნა. წარგზავნილებმა უზრუნველყოთ დათვლიერეს ონკანი, შტანგენფარგალით გაზომეს წყლის ნაკადის დიამეტრი, აიღეს დასველებული ნიადაგის სინჯი და საამქროს უფროსს შეატყობინეს: ფაქტი სინამდვილეს შეესაბამება, წყალი ეზოს მართლაც ატალახებსო! ამის გაგონებაზე საამქროს უფროსმა სასწრაფო რაპორტი გაუგზავნა დირექტორის მოადგილეს და ტერიტორიის დატბორვის საშუალება აუწყა.

ღლის ბოლოს მოადგილის კაბინეტში ექსტრა-თათბირი გაიმართა. ორი საათის შემდეგ გადაწყდა: ატაკიანი კომისია გამოეყოთ საავარიო სიტუაციის შესასწავლად.

კომისია მუშაობას მეორე დღესვე შეუდგა. ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ კომისიის წევრები ერთხმად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ, ალბათ, ვინმემ წყალი დალია და ონკანის დაკეტვა დაავიწყდაო. შემდეგ დამნაშავე მოიკითხეს. დაკითხვის უკანასკნელ ეტაპზე ქარხნის კომენდანტს გაახსენდა: სამუშაო ღლის ბოლოს, მგონი, მბურღავი თედო სვამდა წყალსო.

მესამე დღეს კომისიის სახელდახელო სხდომაზე მბურღავი თედო გამოიძახეს. თედო არ გამოცხადდა. მაშინ კომისია კადრების განყოფილებას ეწვია. შემოწმებისას გაირკვა, რომ მბურღავ თედოს თურმე ტურისტული საგზური შეუძენია და, უკვე ოთხი დღეა, რაც შევბუღებას შავი ზღვის სანაპიროზე, ვარნაში ატარებდა. კომისიის წევრები აღშფოთდნენ თედოს ასეთი უდარდებლობით და ახსნა-განმარტებითი ბარათი დაწერეს დირექტორის სახელზე. დირექტორმა ბარათს რეზოლუცია დაადო და განსახილველად მთავარ ინჟინერს გადაუგზავნა. მთავარმა ინჟინერმა უშალ საწარმოს ტექნიკური სამუშაოს რიგგარეშე სხდომა მოიწვია და კომისიას უბრძანა, ექსტრემალური ზომებისათვის მიემართა. ამას მოჰყვა ტელეტაიპით ელვა-დეპეშის გაგზავნა ბულგარეთში: „ეთხოვოს მბურღავ თედოს სასწრაფოდ დაბრუნდეს ქარხანაში გადაუდებელ საქმეზე“.

რა უნდა ექნა თედოს? დაბოღმილმა უკანასკნელად შემოიბრძნა მაღაზიები, „ლევი შტრაუსის“ ზედა-ქვედა ჯინსები და კანადური „ლუბლინკა“ შეიძინა და იმვე

სალამოს, თვითმფრინავის და მატებითი რეისით სახლში დაბრუნდა. ქარხანაში გამოცხადებისთანავე, თედოს პირდაპირ დირექტორის კაბინეტში უკრეს თავი. იქ მას ტყავი გააძვრეს უუკრადლებობისა და შრომითი დისციპლინის უხეში დარღვევისათვის და დამხმარე მუშად ჩამოაქვეითეს.

მომდევნო დღეს კომისიამ ეზოში ჩასვლა და უშუალოდ ონკანის დათვლიერება განიზრახა, მაგრამ ეს უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ეზო მთლიანად წყლით იყო დატბორილი.

კომისიის თავზე საავდრო ღრუბლები ავისმომასწავებლად იკრიბებოდნენ! მთავარი ინჟინერი ცოფებს ჰყრიდა!.. საჭირო იყო რადიკალური ზომების მიღება, ამიტომ საჩქაროდ მბურღავი თედო გამოიძახეს და, თავისივე დანაშაულის გამოსწორების მიზნით, ტბორში შესვლა და ონკანის გადაკეტვა დაავალეს — როგორც გახსენი, ისე დაკეტეო! აქ კი მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: ტბორის დანახვავე მამაცი მბურღავი თედო შედრკა — მან ცურვა არ იცოდა!..

მთავარი ინჟინრის მრისხანება სპორტორგანიზატორის ტანმოჩილი ფიგურისაკენ უღმოდლოდ მიიწვედა და ამ უკანასკნელში, პირველად ბოლო წლების მანძილზე, ინიციატივის ფენომენმა გაიღვიძა: მან, კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით, სასწრაფოდ შექმნა მასველ-მცურავ-მყვინთავთა ექვსკაციანი რაზმი და პირადი მაგალითის ჩვენებით ტბორს ეკვეთა. მასველ-მცურავები თავგამოდებით მიიწვედნენ წინ. ყოველ მათგანს სურდა, თავი გამოეჩინა აღმინისტრაციისა და ახლობელ-მეგობრების წინაშე, მაგრამ სპორტი მაინც სპორტია და ონკანთან პირველი მიიჭრა გაღვანური საამქროს ზეინკალი. მან ონკანის სახელური, მბურღავი თედოს მითითებით, ორჯერ ძალდაუტანებლად შემოაბრუნა საათის ისრის მიმართულებით და, ჰოი, საოცრება! — წყლის 10-მილიმეტრიანი დიამეტრის ნაკადი შეწყდა! კომისიის წევრებმა შვებით ამოისუნთქეს!

ღლის ბოლოს, ტბორიდან წყლის ამოსაქაჩად გამოძახებული სუპერ-ტუმბოების გრიალში, ქარხნის დირექტორმა საჯარო მაღლობა გამოუცხადა კომისიას ოპერატიული მუშაობისთვის, ხოლო სპორტორგანიზატორი ორი წყვილი ჟანგბადის ბალონიანი აკვალანგიტით დააჯილდოვა ცურვაში ქარხნის პირველობის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

გალზაზ ცოტაძე

(დევნი: „გრან-პრი ოსკარაძე“)

77-734

7-77
ზანი 40 კაპიტი.

ნახ. შ. დინსაძისა



„მადონის მადონი არ დაიღვპო“



„ხარი ხართან დაგვიო...“



„ორი კურდღლის მადევერი...“



მთავარი რედაქტორი ზურაბ გეგაზუშვილი სახელმწიფო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე), ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, ბ. ლომიძე, ნ. მაღაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიშინიძე, ბ. სიხარულიძე (პ/მგ. პედიანი), ბ. ფირცხალავა, თ. ჯალიძე.
 © ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, © საბირისა და იუმორის უფროსი „ნიანგი“. © თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, © საქართველოს კვ-ის გამომცემლობა, © გადაეცა ასაწყობად 6/IX-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/X-77 წ., ქაღალდის ზომა 70×108/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაში 1.7 © საქართველოს კვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. © შეკვ. 2721. უფ. 00824. ტირ. 140.000 © თბილისი, პრ. რუსთაველი № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги». © Издательство ЦК КП Грузии. © Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.
 ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: ნ. მაღაზონია, მ. გეგაზუშვილი, ბ. კონტრამიძე, მ. აბაშიძე, თ. თურმანიძე, ა. ოქრობერიძე, მ. ცოტაძე, ჯ. დევისაძე, მ. მდივნიშვილი.

